ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5780719

ნომერი: AR1860405

თარიღი : 04.11.2021

გაცემის თარიღი : 28.01.2022

გაცნობის თარიღი : 28.01.2022

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ჯუმბერ ლეჟავას ქუჩა, N 47;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნათია ახალკაცი პ/ნ 01001069604
- იპოლიტე ივანოვის 9

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2021 წლის 4 ნოემბრის №AR1860405 განმეორებითი განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ამავე სამსახურის 2021 წლის 8 ივლისის №5492279 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2021 წლის 11 ნოემბრის №5680250 ბრძანებით, 2021 წლის 25 ნოემბრის №5700107, 2021 წლის 30 ნოემბრის №5706943, 2021 წლის 8 დეკემბრის №5718560, 2021 წლის 14 დეკემბრის №5726384, 2021 წლის 22 დეკემბრის №5737482, 2021 წლის 24 დეკემბრის №5742259, 2021 წლის 30 დეკემბრის №5749646, 2022 წლის 11 იანვრის №5758207, 2022 წლის 17 იანვრის №5765402, 2022 წლის 21 იანვრის №5771145 და 2022 წლის 25 იანვრის №5774766 გადაწყვეტილებებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ამჯერად წარმოდგენილ +28.62 ნიშნულის გეგმაზე შეცვლილია კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობები, რომელიც მანამდე წარმოდგენილ გეგმებზე სწორად იყო დატანილი. ხოლო, ამჯერად წარმოდგენილ +28.62 ნიშნულის გეგმაზე არასწორად იქნა კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობები დატანილი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ იქნა წარმოდგენილი სამსახურის მიერ განსაზღვრული შესწორებული დოკუმენტაცია და სამსახურის მიერ არაერთხელ მოხდა ხარვეზების დადგენა, რომელიც განმცხადებლის მიერ არ იქნა გამოსწორებული, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება 2021 წლის 4 ნოემბრის №AR1860405 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.
დამატებით გაცნობებთ, რომ ახალი განცხადების რეგისტრაციის და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.